



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 364 2018 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებს: ძველ დიკლოს – ციხე-სოფელს, ნასოფლარ გირევს, ნასოფლარ დაქიურთას, ნასოფლარ აგეურთას, ნასოფლარ ინდურთას, სოფელ კვავლოს, სოფელ ფარსმას, ნასოფლარ წაროს, ნასოფლარ ჭონთიოს, ნასოფლარ ჰედოს განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე